პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

(სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ეკა ლუაშვილი
წევრები: ნინო ხაჩიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ**

სახე:

■ უნივერსიტეტი

მონიტორინგის მიზანი:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან 2018 წლის 18 მაისს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N592417, ამავე ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 31 მაისის N6460110, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 2018 წლის 29 ივნისს ცენტრში შემოსული N83819 კორესპონდენციებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის გზით, კორესპონდენციებში მითითებული ფაქტობრივი გარემობების საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში -თსუ) საქმიანობის შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან.

- **ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის N1424/01-04 ბრძანებით მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა და პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 20-მა აპლიკანტმა, მათგან ხუთმა 2017 წლის 11 დეკემბერს ერთობლივი განცხადებით მიმართა თსუ -ს რექტორს, სადაც აცხადებენ, რომ მათ განემარტათ, იმის თაობაზე, რომ სწავლა განხორციელდებოდა თსუ-ს ქ.ქუთაისის სასწავლო ცენტრში, თუმცა ჩარიცხვის შემდეგ აცნობეს, რომ ქ.თბილისში უნდა ესწავლათ, რაც მიუღებელი აღმოჩნდა პროფესიული სტუდენტებისათვის და მათ მოითხოვეს მიეცა უნივერსიტეტს უფლება 2017 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, რომელთაც მათგან განსხვავებით ქ.ქუთაისში სწავლის უფლება მიეცათ, ესწავლათ მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე, რაზედაც მათ უარი ეთქვათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი 2016 -2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის N1424/01-04 ბრძანებით მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტების, მათ შორის ზემოთ მოხსენიებული განცხადების ავტორების ჩარიცხვის საფუძვლები და კორესპონდენციების შინაარსში დაფიქსურებული ფაქტორბივი გარემოებები, რომელიც მოცემულ საკითხთან არის ბმაში.

საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N703 ბრძანების თანახმად თსუ ვალდებული იყო 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2016 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყო სპეციალურ პროგრამაში ელექტრონული ფორმის შევსება, სადაც უნდა განესაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, პროგრამაზე მისაღები კონტინგენის რაოდენობა, განხორციელების ადგილი და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციის ასახვის საფუძველს წარმოადგენდა აკადემიური საბჭოს დადგენილება, შესაბამისი ანკეტა-კითხვარის დამტკიების შემდეგ, რომელიც, როგორც კორესპონდენციების შინაარსიდან ირკვევა, არა თუ წინ უსწრებდა მინისტრის ბრძანებით ზემოთ მოხსენიებულ სპეციალური ფორმის შევსების ვადებს, არმედ იგი დამტკიცდა მას შემდეგ (2016 წლის 31 ოქტომბერს), როდესაც უკვე დასრულებული იყო: სპეციაულური ფორმის შევსების; აპლიკანტთა რეგისტრაციისა და მათ მიერ გამოცდის ჩატარების ვადები. გამომდინარე აქედან ცხადია, რომ თსუ-ს მიერ უგულებელყოფილი იქნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების[1] შინაარსი, კანონმდებლობის დარღვევით, სამართლებირვი საფუძვლის გარშე მოხდა სპეციალურ ელექტრონულ ფორმაში თსუ-ს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ ინფორმაციის ასახვა.

   ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ასახული ინფორმაციისა და შემდგომ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილებით დამტკიცებული ანკეტა - კითხვარის შესაბამისად, პრფესიული საგანმანათლებო პროგრამა მასაჟისტის განხორციელების ადგილად განისაზღვრა მხოლოდ ქ.თბილისი, თუმცა მანამდე აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა ქ.ქუთაისშიც. კორესპონდენციის შინაარის შესწავლამ და იმ ფაქტმა, რომ ანკეტა-კითხვარი დამტკიცდა მას შემდეგ რაც დასრულდა არათუ აპლიკნტთა რეგისტრაცია, არამედ მათ მიერ გამოცდის ჩაბარებაც, აჩენს ლეგიტიმურ ვარაუდს, რომ ზემოთ

[1] 1. საქართველო განთლებისა და მეცნიერების მნისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის ბრძნება N703; 2. საქართველო განთლებისა და მეცნიერების მნისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის ბრძნება N739; 3. საქართველო განთლებისა და მეცნიერების მნისტრის 2016 წლის 13 ოქტომბრის ბრძნება N766.

მოხსენიებული 5 პროფესიული სტუდენტი, რომელმაც მიმართა თსუ-ს განცხადებით ინფორმირებული იყვნენ დარეგიტსრირების ადგილზე (ქ.ქუთაისის სასწავლო ცენტრი), რომ მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდებოდა წინა წლის მსგავსად ქ.ქუთაისში. ამას ადასტურებს თსუ - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარდგინება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი აპლიკანტების შესახებ, სადაც ზემოთ დასახელებული პროფესიული სტუდენტების სწავლების ადგილად მითითებული არის ქ.ქუთაისი. მიუხედვად იმისა, რომ აღნიშნული წარდგინება საფუძველია თსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის N1424/01-04 ბრძანების, რომელიც გამოიცა 2016 -2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ბრძანების შიინარსში მასაჟისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ქ.ქუთაისი არ არის განსაზღვრული. როგორც შესაწავლილი კორესპონდენციის შინაარსიდან ირკვევა, დეკანის წარდგინების ის ნაწილი, რომელიც ქ.ქუთაისს განსაზღვრავდა მასაჟისტის პროგრამის განხორციელების ადგილად, არ არის გაზიარებული, რადგან რანჟირების დოკუმენტისა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ანკეტა - კითხვარის თანახმად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია მხოლოდ ქ.თბილისი.

2. საგულისხმოა ის გარემოება, რომ 2016 -2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასაჟისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სულ ჩაირიცხა 20 აპლიკანტი, ხოლო შესწავლილ კორესპონდენციაში წარმოდგენილია მხოლოდ 14 პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულება, მათ შორის არ არის იმ პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებები, რომელიც განცხადებით ითხოვნდენ ქ.ქუთაისში სწავლის უფლების მინიჭებას. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში“. რომელიც თსუ-ს მიერ დარღვეულია, არ არსებობს 6 პროფესიულ

სტუდენტთან ხელშეკრულება დადებული, თუმცა ისინი ასახულნი არიან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თსუ-ს მიერ დარღვეულია არამხოლოდ ზემოთ დასახელებული ნორმის მოთხოვნები, არამედ საკუთარი რეგულაციებისა და ხელშეკრულების შინაარსი კანონმდებლობასთან შეუსაბამოა და არარელევანტურია პროფესიული განათლების მიზნებთან მიმართებებით. საქმე იმაშია, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 2016-2017 წლის რედაქციით განსაზღვრული აქვს, რომ პროფსიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ რექტორის იდნივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველია უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკურლების დადება, რაც წინ უნდა უძღოდეს რექტორის ბრძანების გამოცემას. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ზემოთ განხილული პროფესიული ტესტირების დებულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც ჯერ უნდა მოხდეს რექტორის აქტით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება და შემდეგ აღნიშნულ პირბეთან ხელშეკრულების დადება.

3. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გარდა იმისა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არის კანონმდებლობასთან შეუსაბამო ჩანაწერი, შესწავლილი პროფესიული სტუდენტებთან ხელშეკურულების დადების თარიღით დგინდება, რომ თსუ - მ ჯერ დადო ხელშეკულებები პროფესიულ სტუდენტებთან (რომლეთაც რექტორის აქტით მათ პროფესიულ სტუდენტად ჩარიცხვამდე არ შეიძლებოდა ჰქონოდათ აღნიშნული სტატუსი) და შემდეგ მიანიჭა მათ პროფესიული სტუდენის სტატუსი რექტორის ბრძანებით. რითაც დაარღვია ზემთ უკვე დასახელებული 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. ამასთანავე 14 ხელშეკრულება, რომელიც შესწავლილ იქნა, არ არის ხელმოწერილი თსუ-ს რექტორის მიერ, რაც სამართლებრივად არ წარმოშობს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელიც მხოლოდ ორივე მხარის ხელმოწერის მომენტიდან წარმოიშობა. აღნიშნული დარღვევა ცხადყოფს, რომ დასახელებული 14 ხელშეკრულება ვერ იქნება განხილული 29- ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა მიზნებისათვის, რის გამოც ხელშეკრულებაში დასახელებული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის კანონიერებაც კანონმდებლობასთან შეუსაბამოა.

4. ხელშეკურლებების განხილვის დროს ყურადღება გამახვილდა მათ შინაარსზე, რომელიც არ არის კანონმდებლობასთან შესაბამისი და აცდენილია პროფესიული განათლების მიზნებს. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პროფესიული სტუდენტი

მოხსენიებულია, როგორ ერთიან ეროვნულ გავლილი აბიტურიენტი, რაც კანონმდებლობასთან შეუსაბამოა, პრფესიული სტუდენტი პროფესიული ტესტირების საფუძველზე ირიცხება უნივერსიტეტში და არა ერთიანი ეროვნული გამოცდებით. ხელშეკრულების თანახმად პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ყოველ სემესტრულად გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რომელიც გულისხმობს სემესტრული სწავლის საფასურის თუს-ს სასარგებლოდ გადახდას, მაშინ როდესაც თსუ-ში პროფსიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და პროფესიულ სტუდენტს არ აქვს სემესტრული რეგისტრაციის და სწავლის საფასურის თსუ-ს სასარგებლოდ გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ჩანაწერი ასევე შეუსაბამოა კანონმდებლობასთან და არღვევს პროფესიული სტუდენტის უფლებებს.

ზემოთ განხილული კორესპონდენციების შინაარსში დაფიქსირებული ფაქტორბივი გარემოებების შეფასებამ და ანალიზმა ცხადყო, რომ **თსუ-ს დარღვეული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის წარმოშობის სამართლებირვი საფუძვლები** არამხოლოდ 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **ჩარიცხული 5 სუდენტის მიმართ,** რომელთაც განცხადებით მიმართეს უნივერსიტეტს საკუთარი უფლებების დასაცავად, არამედ **სახეზეა დაწესებულების მიერ სისტემატურად, როგორც კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფა, ასევე საკუთარი რეგულაციების დარღვევის ფაქტები, რითაც დგინდება რომ თსუ-ს საქმიანობა შუსაბამოა ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან.**

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐**ქვესტანდარტი დარღვეულია**

წინამდებარე დასკვნას თან ახლავს დანართი N1 და დანართი N2, რომელიც მოცემულია ელექტრონულ მატარებელზე და დასკვანს თან აქვს დართული CD-სახით.

03.08.2018.